N 04/131
29/07/2022

ბრძანება

131-01-4-202207291356

შპს „ევროპის უნივერსიტეტს“ (ს/კ 201954956) და ა(ა)იპ „ჯო ენის სამედიცინო ცენტრს“ (ს/კ 201954242) შორის განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, 11^1 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლისა და სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „გადაწყვეტილება შპს „ევროპის უნივერსიტეტს“ (ს/კ 201954956) და ა(ა)იპ „ჯო ენის სამედიცინო ცენტრს“ (ს/კ 201954242) შორის განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“ თანდართული სახით;
2. შპს „ევროპის უნივერსიტეტს“ (ს/კ 201954956) და ა(ა)იპ „ჯო ენის სამედიცინო ცენტრს“ (ს/კ 201954242) შორის განხორციელებული კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად;
3. გადაწყვეტილება გაეგზავნოთ შეტყობინების საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში წარმომდგენ ეკონომიკურ აგენტებს;
4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს კონკურენციის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ, პერსონალურ ან საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64);

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

გადაწყვეტილება

შპს „ევროპის უნივერსიტეტს“ (ს/კ 201954956) და ა(ა)იპ „ჯო ენის სამედიცინო ცენტრს“ (ს/კ 201954242) შორის განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

სააგენტოსთვის წინასწარ წერილობით შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციების სააგენტოსთვის შეუტყობინებლობის შესაძლო ფაქტების გამოვლენისა და მათზე შემდგომი რეაგირების მიზნით, სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად, გამოვლინდა, რომ 2022 წლის 27 აპრილს შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ (ს/კ 201954956) მიერ ა(ა)იპ „ჯო ენის სამედიცინო ცენტრის“ (ს/კ 201954242) შეძენა, სავარაუდოდ, ექვემდებარებოდა სააგენტოსთვის წინასწარ წერილობით შეტყობინებას. კერძოდ, განხორციელებული კონცენტრაცია აკმაყოფილებდა „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს წლიური ბრუნვის ნაწილში.[1]

2022 წლის 2 მაისს სააგენტომ დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს - შპს „ევროპის უნივერსიტეტს“, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ეთხოვა პოზიციისა და წლიური ბრუნვის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა.[2]

სააგენტოს მიერ დამუშავებული მონაცემებით დადგინდა, რომ განხორციელებული კონცენტრაცია აკმაყოფილებდა „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს კონცენტრაციის განხორციელების წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის ნაწილში. შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ 2021 წლის წლიური ბრუნვა შეადგენდა [redacted] ლარს, ხოლო ა(ა)იპ „ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალისა“ - [redacted] ლარს.

შპს „ევროპული უნივერსიტეტის“ (შემძენი) განმარტებით,[3] 2022 წლის 27 აპრილს ა(ა)იპ „ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ დამფუძნებელთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სამეწარმეო რეესტრში განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვით ა(ა)იპ „ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ დამფუძნებლად განისაზღვრა შპს „ევროპის უნივერსიტეტი“ (ს/კ 201954956). შემძენი, სააგენტოსთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე კონცენტრაციის განხორციელების მიზეზად ასახელებს ა(ა)იპ „ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში“ მიმდინარე

[1] სააგენტოსათვის შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე პირების ერთობლივი (ჯამური) წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს.

[2] 2022 წლის 2 მაისის N02/341 წერილი.

[3] შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ 2022 წლის 4 მაისის N01/852 წერილი.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტს (გამოწვეული კომპანიის ფინანსური ზარალიდან) და აცხადებს, რომ კომპანია გეგმავდა, მხოლოდ მისი დამთავრების და მიღებული შედეგების შესაბამისად მიემართა სააგენტოსთვის. შემმენი განმარტავს, რომ სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის 2018 წლის 3 იანვრის N10 ბრძანებით დამტკიცებული მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსისადმი დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, კლინიკური დისციპლინების უზრუნველსაყოფად განსაზღვრულია სპეციალური მოთხოვნები, მათ შორის საუნივერსიტეტო/სასწავლო კლინიკის ფლობა. მედიცინის დარგობრივი მახასიათებლებში სწავლების სავალდებულო ფორმად მითითებულია პაციენტის საწოლთან სწავლება (ე.წ. bed side teaching) და კლინიკური როტაციები საუნივერსიტეტო/სასწავლო კლინიკებში, პაციენტთან კონტაქტი, პრაქტიკულები სტაციონარულ და ამბოლატორიულ პაციენტებთან და ა.შ. რომელთა პრაქტიკაში განხორციელებაც წარმოუდგენელია მაღალი სტანდარტის სამედიცინო და საგანმანათლებლო ბაზების გარეშე.

აღნიშნული ამოცანის განხორციელების მიზნით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანად განსახორციელებლად, მხარეთა თავისუფალი ნების ფარგლებში, ა(ა)იპ „ჯო ენის სამედიცინო ცენტრის“ დამფუძნებელთა საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ა(ა)იპ „ჯო ენის სამედიცინო ცენტრის“ შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ (ს/კ 201954956) საუნივერსიტეტო ჰოსპიტალად გარდაქმნის და მის დამფუძნებლად შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ განსაზღვრის შესახებ. შემძენის განმარტებით, კონცენტრაციის ფარგლებში ფინანსური ტრანზაქცია არ განხორციელებულა.

სააგენტოს პოზიციით, შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ მიერ ა(ა)იპ „ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ დამფუძნებლად რეგისტრაცია, კონკურენციის კანონმდებლობის მიზნებისათვის, არის კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კონცენტრაცია, რადგან ადგილი აქვს შემძენის მიერ მეორე საწარმოზე კონტროლის მოპოვებას და აღნიშნული ექვემდებარებოდა სააგენტოსთვის წინასწარ წერილობით შეტყობინებას, კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების 2021 წლის წლიური ბრუნვის გათვალისწინებით.

სააგენტოს მიერ დადგენილია, რომ სახეზე არ არის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11^2 მუხლით განსაზღვრული შეტყობინების სააგენტოსთვის წარმოდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლების არც ერთი კანონისმიერი წინაპირობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 27 მაისის N04/68 ბრძანებით საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ (ს/კ 201954956), როგორც ა(ა)იპ „ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ (ს/კ 201954242) დამფუძნებლად განსაზღვრა მიჩნეულ იქნა კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების სააგენტოს მიერ სავალდებულო განხილვის გარეშე განხორციელებულად. შპს „ევროპის უნივერსიტეტს“ (ს/კ 201954956) დაეკისრა ჯარიმა 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით. ასევე, შპს „ევროპის უნივერსიტეტს“ დაევალა, 21 კალენდარული დღის ვადაში, განხორციელებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების კანონმდებლობით დადგენილი სახით სააგენტოში წარმოდგენა.

საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში, 2022 წლის 21 ივნისის EU 00119376 წერილით (რეგ. N01/1130, 2022 წლის 21 ივნისი) შემოვიდა შეტყობინება ეკონომიკური აგენტებს - შპს „ევროპის უნივერსიტეტს“ (ს/კ 201954956) და ა(ა)იპ „ჯო ენის სამედიცინო ცენტრს“ (ს/კ 201954242) შორის განხორციელებული კონცენტრაციის შესახებ.

შეტყობინება მოიცავდა კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი ფორმით მოთხოვნილ ინფორმაციას კონცენტრაციის შესახებ:

- ზოგადი მონაცემები კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ;
- ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ - ფორმა, მიზანი;
- ეკონომიკურ აგენტთა მახასიათებლები - კონცენტრაციის მხარეების წილის მფლობელები, დაკავშირებული კომპანიები, წლიური ბრუნვები 2021 წელს;
- კონცენტრაციის დეტალური აღწერა - შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა; მეთოდოლოგია, რომლითაც იხელმძღვანელეს შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას; უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნეს-გეგმა; მონაწილე სუბიექტთა საბაზრო წილები; პროდუქტები, რომელთა რეალიზაციაც ხორციელდება მხარეების მიერ; ინფორმაცია კონცენტრაციის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ; კონცენტრაციის მოსალოდნელი შედეგების აღწერა; საკითხები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რაზეც უნდა იქნეს სააგენტოს მიერ ყურადღება გამახვილებული.

შეტყობინებას თან ახლდა დანართები:

- ინფორმაცია შპს „ევროპის უნივერსიტეტთან“ და ა(ა)იპ „ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალთან“ დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების შესახებ;
- შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ (ს/კ 201954956) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ა(ა)იპ „ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ (ს/კ 201954242) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ:

- შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ საქმიანობის სფეროა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა. 2021 წელს კომპანიის ბრუნვამ შეადგინა [redacted] ლარი;
- ა(ა)იპ „ჯო ენის სამედიცინო ცენტრის“ საქმიანობის სფეროა სამედიცინო მომსახურება. 2021 წელს კომპანიის ბრუნვამ შეადგინა [redacted] ლარი.

კონცენტრაციის ფორმა:

კონცენტრაციის ფორმა არის შეძენა - საკუთრების ან კონტროლის უფლების მოპოვება ეკონომიკურ აგენტზე ან მის ნაწილზე მის კაპიტალში წილის/აქციების შესყიდვის, მმართველობით ორგანოებში საკუთარი წარმომადგენლების დანიშვნის ან ეფექტური კონტროლის სხვაგვარად მოპოვების გზით.

კონცენტრაციის მიზანია:

ა) შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ მიერ, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსისადმი დადგენილი მოთხოვნების განხორციელების ხელშეწყობა და მაღალხარისხიანი სწავლებისა და კვლევის პროცესის წარმართვა;

ბ) ა(ა)იპ „ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის“ ფინანსური და საწარმოო სიძნელეების დაძლევა, ჰოსპიტალის განვითარება, მისი რეპუტაციული იმიჯის შენარჩუნება და განმტკიცება, არსებულ საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო სერვისების ფორმირება და სრულყოფა, მათ შორის, ტერიტორიული კეთილმოწყობის, თანამედროვე ტიპის ინფრასტრუქტურული და ტექნიკური აღჭურვილობის საკითხების მოწესრიგების გათვალისწინებით.

კონცენტრაციის მხარეები:

შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ 100%-იანი წილის მფლობელია ლაშა კანდელაკიშვილი (პ/ნ [redacted]). ურთიერთდამოკიდებულ ეკონომიკურ აგენტებს წარმოადგენენ:

- ა(ა)იპ ევროპის უნივერსიტეტის სპორტული კლუბი (ს/კ 433103713);
- ა(ა)იპ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტი (ს/კ 400130265);
- ა(ა)იპ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი (ს/კ 405214030);
- ა(ა)იპ ევროპის უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი (ს/კ 400240967);
- ა(ა)იპ ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი (ს/კ 400280842);
- შპს ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი (ს/კ 400199469);
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტი (ს/კ 212677094);
- შპს ჩემი ევროპული სკოლა (ს/კ 433109370);
- შპს ევროპის უნივერსიტეტის კამპუსი (ს/კ 400265057).

ა(ა)იპ „ჯო ენის სამედიცინო ცენტრის“ (ს/კ 201954242) დამფუძნებელთა საბჭოს შემადგენლობაში (პარტნიორების სტატუსით) შედიოდნენ:

- წევრი: ირაკლი მეტრეველი, პ/ნ [redacted];
- წევრი: ავთანდილ ცინცაძე, პ/ნ [redacted];
- წევრი: ვახტანგ ლაშხი, პ/ნ [redacted];
- წევრი: მერაბ თევზაძე, პ/ნ [redacted];
- წევრი: ჯანსუღ კვირიკაშვილი, პ/ნ [redacted].

ა(ა)იპ „ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ მფლობელობაში არსებული კომპანიები:

- შპს ჯო ენ - რადიოლოგია (ს/კ 401998451);
- შპს ჯო ენ - სოფტი (ს/კ 402017401);
- შპს საქართველოს ანესთეზიოლოგიის და რეანიმატოლოგის ეროვნული სასწავლო ცენტრი (ს/კ 405030915).

შპს „ევროპის უნივერსიტეტს“ და ა(ა)იპ „ჯო ენის სამედიცინო ცენტრს“ ბოლო 3 წლის განმავლობაში კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისგან წილი არ შეუძენიათ.

შეტყობინებაში მოცემულია შემძენის პოზიცია შესაბამის ბაზართან დაკავშირებით, თუმცა პროდუქციულ ჩარჩოში აღწერილია კონცენტრაციის მიზანი - საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსისადმი დადგენილი მოთხოვნების, შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ მიერ განხორციელების ხელშეწყობა, მაღალხარისხიანი სწავლებისა და კვლევის პროცესის წარმართვა. შემძენი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მიიჩნევს ქალაქ თბილისის ტერიტორიას, ხოლო დროით ჩარჩოდ - კალენდარულ წელს. შემძენის ინფორმაციით, უნივერსიტეტი ახორციელებს 14 უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას, თითოეული მათგანი აკრედიტებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ, მათ შორის, დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან და ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 3 იანვრის №10 ბრძანებით დამტკიცებული „მედიცინის“ საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსისადმი დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, კლინიკური დისციპლინების უზრუნველსაყოფად განსაზღვრულია სპეციალური მოთხოვნები, მათ შორის საუნივერსიტეტო/სასწავლო კლინიკის ფლობა.

შეტყობინებაში მითითებულია, რომ შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას წარმომდგენმა იხელმძღვანელა „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის №39 ბრძანებით. ასევე, ბაზრის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულ იქნა - მოსახლეობის რაოდენობა, მოსახლეობის ავადობა, სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ქვეყანაში არსებული სერვისების სპექტრი, მოცულობა და გადანაწილება, მკურნალობის უწყვეტობის შესაძლებლობა, ის დაავადებები/მდგომარეობები, რომლებსაც უკავშირდება პაციენტების უცხოეთში გადინება, სამედიცინო ადამიანური რესურსის შეფასება და ა.შ.

შეტყობინებაში წარმოდგენილია უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნეს გეგმები: მიღწეულ იქნეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსისადმი დადგენილი მოთხოვნების, შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ მიერ განხორციელების ხელშეწყობა და მაღალხარისხიანი სწავლებისა და კვლევის პროცესის წარმართვა, აგრეთვე, ა(ა)იპ „ჯოენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის“ ფინანსური და საწარმოო სიძნელეების დაძლევა, ჰოსპიტალის განვითარება, მისი რეპუტაციული იმიჯის შენარჩუნება და განმტკიცება, არსებულ საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო სერვისების ფორმირება და სრულყოფა, სრული ამბულატორიულ-სადიაგნოსტიკო და სტაციონარული სერვისების მიწოდება ნებისმიერი ასაკის მომხმარებლისთვის და მკურნალობის უწყვეტობა, ტერიტორიული კეთილმოწყობა, თანამედროვე ტიპის

ინფრასტრუქტურული და ტექნიკური აღჭურვილობის საკითხების მოწესრიგება, როგორც უახლოესი 24 თვის, ისე უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაში.

შემძენის ინფორმაციით, წინა პუნქტებში მითითებული პოზიტიური შედეგებისა, კონცენტრაციით მიღწეული იქნება მაღალტექნოლოგიურ და ინოვაციურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. შესაბამისად, არ არსებობს კონცენტრაციის ნეგატიური (უარყოფითი) გავლენის მოლოდინი.

მხარეები ადასტურებენ, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და მათთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების შესახებ.

II. სამართლებრივი მიმოხილვა

სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „სსიპ კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით და სხვა.

სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებასა ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და 11[1] მუხლების მოთხოვნებს.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება ის უფლებები, რომელიც გამოიყენება კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის განსახორციელებლად;
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მისი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ხოლო ამავე კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს ეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ აღემატება სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის 5%-ს. ჯარიმის დაკისრება შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსთვის შეტყობინების წარმოდგენისგან. ჯარიმის დაკისრების პარალელურად, შეტყობინების წარმოდგენის ვადას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სააგენტო და იგი არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები. სააგენტო განიხილავს კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელებულ კონცენტრაციას და იმ შემთხვევაში თუ ის მიიჩნევა დაუშვებლად, ჯარიმის

დაკისრების პარალელურად მიმართავს სასამართლოს კონცენტრაციის გაუქმების და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით;

3. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი დარღვევით გამოწვეული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე. თავის მხრივ, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 2 დეკემბრის N04/158 ბრძანებით დამტკიცებული „ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო მოქმედებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნის დასაცავად და ითვალისწინებს მხარეთა ინტერესებს. კერძოდ, უზრუნველყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ჯარიმა იყოს სამართლიანი, პროპორციული და პრევენციული ხასიათის. ჯარიმის დაკისრების დროს, გასათვალისწინებელია, ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით, პირი მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით, თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასაცილებლად, ან პირველად ჩაიდინა თუ არა მან მსგავსი ქმედება და სხვა. ჯარიმის განსაზღვრის დამატებითი კრიტერიუმები ასევე მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც. ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლის დროს, მხედველობაში მიიღება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ეკონომიკური მდგომარეობა;

4. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი (ჯამური) წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს;

5. სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით - შეძენის, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით კონტროლის მოპოვების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება შემძენ ან/და კონტროლის უფლების მომპოვებელ პირს;

6. კანონის 11^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისთვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს;

7. კანონის 11^1 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვას იწყებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და ამ დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, ვალდებულია განიხილოს და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

   ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;

   ბ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს ან თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა. სააგენტოს მიერ აღნიშნულ ვადაში ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიუღებლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;

8. კანონის 11^1 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება განიხილოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა. ამ ვადაში სააგენტოს მიერ აღნიშნულ შეტყობინებაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
9. იმ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ამ კანონის 11^1 მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია, არსებობდეს სააგენტოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შესახებ. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია;
10. კანონის 11^1 მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია;
11. კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. ხოლო, კონცენტრაცია, რომელიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას - არ არის თავსებადი.
12. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე " 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე" კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტებით განისაზღვრება დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების საკითხები. აღნიშნული აქტები მოიცავს, როგორც სასაქონლო ბაზრის, ასევე დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების პრინციპებს, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს;
13. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის".

III.ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე" სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული მითითებების მე-5 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

წარმოდგენილი შეტყობინების მიხედვით, შპს „ევროპის უნივერსიტეტი“ მოქმედებს საგანმანათლებლო ბაზარზე, ხოლო ა(ა)იპ „ჯო ენის სამედიცინო ცენტრი“ - სამედიცინო სერვისების მიწოდების ბაზარზე. გამომდინარე იქიდან, რომ კონცენტრაციის მიზანს წარმოადგენს შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსისადმი დადგენილი მოთხოვნების განხორციელების ხელშეწყობა და მაღალხარისხიანი სწავლებისა და კვლევის პროცესის წარმართვა, კონცენტრაციის ფარგლებში და მისი შეფასების მიზნებისთვის, სააგენტოს მიერ შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრად მიჩნეულ იქნა უმაღლესი სამედიცინო განათლება - დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა.

აღნიშნული არ გამორიცხავს, კონკრეტული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში და მისი მიზნებისთვის, შესაბამისი ბაზრის სხვაგვარად განსაზღვრის შესაძლებლობას.

ბ) გეოგრაფიული საზღვრები

„განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად, აბიტურიენტი არის „სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და რომელიც სწავლის გაგრძელებას აპირებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში“[4]. ამასთან, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობა არ არის შეზღუდული ტერიტორიული ნიშნით. შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინებით, ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით და სააგენტოს პრაქტიკის გათვალისწინებით, სააგენტომ მიზანშეწონილად ჩათვალა, განესაზღვრა ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები ეროვნულ დონეზე.

გ) დროითი ჩარჩო

საგანმანათლებლო პროცესის თავისებურებიდან გამომდინარე, შესაბამისი ბაზრის დროით ჩარჩოს შეადგენს სასწავლო წელი.

<u>ბაზრის მოცულობა და კონცენტრაციის ინდექსი:</u>

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული მითითებების მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის

[4] საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=97

მიხედვით, ბაზრის მოცულობა წარმოადგენს დროის განსაზღვრულ პერიოდში ბაზარზე მიწოდებული საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მოცულობას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის მოცულობა იანგარიშება ამ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ რეალიზებული საქონლის/მომსახურების მოცულობათა ჯამით. ბაზრის ანალიზის პროცესში, სააგენტო ეყრდნობა აუცილებლობის და თანაზომიერების პრინციპებს და ბაზრის ანალიზს ახორციელებს მიზნის მისაღწევად საჭირო და პროპორციული კვლევის ჩატარების გზით.

სააგენტო ბაზრის შეფასებისას ნაწილობრივ დაეყრდნო გადაწყვეტილებას შპს „ჯეო ჰოსპიტალს“ (ს/კ 404907730) და შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურს“ (ს/კ 406055879) შორის დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ,[5] სადაც სააგენტოს მიერ შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრად მიჩნეულ იქნა სამედიცინო სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურება და განხორციელდა ბაზარზე მოქმედი 58 ეკონომიკური აგენტის 2021 წლის წლიური ბრუნვის მონაცემების ანალიზი. ასევე, ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან, 2020-2021 სასწავლო წლის განმავლობაში საქართველოში არსებული, აკრედიტებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ჩამონათვალის შესახებ - მისამართის, სტუდენტთა რაოდენობის და სწავლის ღირებულების მითითებით, მათ შორის, სამედიცინო მიმართულების სტუდენტთა რაოდენობისა და სწავლის ღირებულების დაკონკრეტებით.

<u>მიღებული ინფორმაციის მიხედვით, გამოიკვეთა შემდეგი:</u>

ეროვნულ დონეზე ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამას ახორციელებს 22 უნივერსიტეტი. შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის ინდექსის გამოთვლა განხორციელდა აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით და შედეგად დადგინდა, რომ შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი შეადგენს 1290 ერთეულს, რაც ზომიერად კონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ წილი შეადგენს [redacted] %-ს.

სააგენტოს მიერ შპს „ჯეო ჰოსპიტალს“ (ს/კ 404907730) და შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურს“ (ს/კ 406055879) შორის დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის საკითხის შესწავლისას[6] დადგინდა, რომ სამედიცინო სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი შეადგენს 398 ერთეულს, რაც დაბალ კონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. ა(ა)იპ „ჯო ენის სახელობის სამედიცინო ცენტრის“ წილი შეადგენს [redacted] %-ს.

განხორციელებული კონცენტრაციის შედეგად, კონცენტრაციის დონე არ იცვლება არცერთ შესაბამის ბაზარზე.

IV. სააგენტოს დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ დაადგინა, რომ შპს „ევროპის უნივერსიტეტსა“ (ს/კ 201954956) და ა(ა)იპ „ჯო ენის

[5] 9033c9ed05234320be37379316508694.pdf (competition.ge)
[6] 9033c9ed05234320be37379316508694.pdf (competition.ge)

სამედიცინო ცენტრს“ (ს/კ 201954242) შორის განხორციელებული კონცენტრაცია, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.